**დამტკიცებულია**
ა(ა)იპ კოლეჯი „პრესტიჟის“ დირექტორის
2019 წლის 29 აგვისტოს N266 ბრძანებით
ცვლილება: ბრძანება N01-4/144 (04/10/2024)

# ა(ა)იპ კოლეჯის „პრესტიჟი“ ტერიტორიაზე დასუფთავების, ნარჩენების შეგროვებისა და განთავსების წესი

## მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1. წინამდებარე წესი აწესრიგებს ა(ა)იპ კოლეჯის „პრესტიჟი“ (შემდგომში „კოლეჯი“) ტერიტორიაზე დასუფთავებასთან, ნარჩენების შეგროვებასთან და განთავსებასთან დაკავშირებულ საკითხებს.

## მუხლი 1[1]. დასუფთავების წესი

1. კოლეჯში ყოველდღიურად ხდება კაბინეტების, აუდიტორიების, სასწავლო სახელოსნოების, სათავსების ბუნებრივი ვენტილაცია;
2. კოლეჯის ტერიტორიაზე შესაბამისი სადეზინფექციო საშუალებებით მუშავდება შეხებადი ზედაპირები, რათა თავიდან იქნეს აცილებული მიკრობების, ბაქტერიების და ვირუსების გავრცელება;
3. აკადემიაში ყოველდღიურ რეჟიმში ხორციელდება სამუშაო/სასწავლო სივრცეებისა და ადგილების სველი წესით დალაგება/დეზინფექცია.

## მუხლი 2. საყოფაცხოვრებო ნარჩენების შეგროვების, ნარჩენების შესაგროვებელი სათავსების და მათი გამოყენების წესები

1. კოლეჯის ეზოში/მიმდებარე ტერიტორიაზე სანიტარული სისუფთავის უზრუნველყოფის მიზნით, კოლეჯი განათავსებს ურნებს - ნარჩენების საზოგადოებრივი სარგებლობის სათავსებს, რომლებიც განკუთვნილია კოლეჯის სტუდენტთა/მსმენელთა და თანამშრომელთა მიერ წარმოქმნილი წვრილმანი ნარჩენების შესაგროვებლად.
2. აკრძალულია ასეთი სათავსების გამოყენება მოსახლეობის ან იურიდიული პირების წარმოქმნილი საყოფაცხოვრებო ან სამშენებლო ნარჩენების შესაგროვებლად.
3. აკრძალულია საყოფაცხოვრებო ნარჩენების შესაგროვებელი სათავსების გამოყენება სამშენებლო ნარჩენების, საშიში ნივთიერებების შემცველი და/ან დიდგაბარიტიანი საყოფაცხოვრებო ნარჩენების შესაგროვებლად.
4. აკრძალულია საყოფაცხოვრებო ნარჩენებისათვის განკუთვნილ სათავსებში მიწის, ქვების და ისეთი სახის ნარჩენების შეგროვება, რომელთა სათავსში მოთავსება მათი ფიზიკური მდგომარეობის ან გაბარიტების გამო არ ხერხდება.
5. აკრძალულია საყოფაცხოვრებო ნარჩენების შესაგროვებელ სათავსებში ცხელი, გაღვივებული, ალმოდებული ნარჩენების შეგროვება, სითხეების ჩასხმა, თოვლისა და ყინულის ჩაყრა და სხვა ისეთი ნივთების ან ნივთიერებების განთავსება, რომლებმაც საცავის დაზიანება ან უჩვეულო დაბინძურება შეიძლება გამოიწვიოს.

6. აკრძალულია საყოფაცხოვრებო ნარჩენების შესაგროვებელ სათავსებში ნარჩენების ჩაწნეხა, დაქუცმაცება, დაწვა ან ქიმიკატებით დამუშავება.

7. კოლეჯის ტერიტორიაზე მყოფი ყველა პირი ვალდებულია საყოფაცხოვრებო ნარჩენები შეაგროვოს მხოლოდ ამისათვის სპეციალურად გამოყოფილ სათავსებში. აკრძალულია საყოფაცხოვრებო ნარჩენების დადება კოლეჯის ტერიტორიაზე/ეზოში.

8. საყოფაცხოვრებო ნარჩენების შესაგროვებელი სათავსებიდან ნარჩენების გატანა, სათავსების განლაგების ადგილის დაგვა-დასუფთავება და პერიოდული წმენდა ევალება კოლეჯის მიერ სპეციალურად გამოყოფილ, აღნიშნული სამუშაოს შესრულებაზე პასუხიმგებელ პირს.

**მუხლი 3. ტერიტორიების დაგვა-დასუფთავება, დაგვა-დასუფთავების შედეგად წარმოქმნილი ნარჩენების შეგროვება და განთავსება**

1. ტერიტორიის დაგვა-დასუფთავება გულისხმობს ამ ტერიტორიაზე წარმოქმნილი ნაგვის, შლამის, მცირე ზომის ქვების, ცხოველური ექსკრემენტების, მცენარეთა ფოთლების, ბალახისა და სარეველა მცენარეების, მათ შორის მცენარეთა გადაბელვის, ან თიბვის შედეგად წარმოქმნილი ნარჩენების ერთად მოგროვების და ტერიტორიისთვის მოცილებას.

2. კოლეჯი პასუხისმგებელია კოლეჯის ტერიტორიის/ეზოს დაგვა-დასუფთავებაზე და მის შედეგად წარმოქმნილი ნარჩენების შეგროვებაზე და საყოფაცხოვრებო ნარჩენების სათავსებში განთავსებაზე.

3. კოლეჯი ვალდებულია დაგვა-დასუფთავების შედეგად წარმოქმნილი ნარჩენები შეაგროვოს ერთად, სპეციალურად ამისათვის გამოყოფილ სათავსში ან მის გარეშე ისე, რომ არ მოხდეს გარემოს დაბინძურება შეგროვებულ ნარჩენებზე ქარის, ატმოსფერული ნალექების ან ცხოველების და ფრინველების ზემოქმედებით.